პროლეტერებო ყველა ჯერეთისა, გაერთიანეთ!

ხუთი ფილიადი

კომუნისტი

საკავშ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ.აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმის-წიგნის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელნაწერის ფასი: მუშა-ბოსებისთვის, 75 კ., დანარჩენებისთვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩიროდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნოემბერელის სტრიქონი—20 კ., აუყობა ციფრებით—25 კ. სამკლოვიანურ—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადებ. მიიღება 3 ს.

ელეფონი 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— ოსმალეთში დაიწყო მავრავზელთა ორგანიზაციების საქმის გარჩევა.
— 21 ივნისს ვარშავაში გაიხსნა საერთაშორისო საპოლ. სამეურნეო კონგრესი.
— რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის და საბერძნეთის მთავრობებს შორის განახლდა მოლაპარაკება კავშირის შექმნის შესახებ.
— აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ყოფ. უფროსის ოსტროუმოვის საქმე ხარბინში 2 თვეს გაგრძელდება.

სამშაბათი, 23 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 141 (1296)

ჩინეთის ბურჟუაზია იმპერიალისტებთან შეთანხმებას აპირებს

ჩინეთის მუშათა კლასს მაღლა უჭირავს ეროვნული განთავისუფლებ. ბრძოლის დროშა

საგაფიცვო მოძრაობა მთელს ჩინეთს მოედო.—გაფიცულები დათმობაზე არ მიდიან

იმპერიალისტური სახელმწიფოების დიპლომატები უარს აცხადებენ ჩინეთს მთავრობის მოთხოვნილებების შესრულებაზე.—ჩინეთის მთავრობამ განმეორებით მოსთხოვა უცხოეთის დიპლომატებს თავისი მოთხოვნილებების შესრულება.—ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზია იმპერიალისტებთან შეთანხმების მომხრეა.—ჩინეთის მუშათა კლასი და სტუდენტობა მედგრად განაგრძობს ბრძოლას და კატეგორიულად უარყოფს ბურჟუაზიის ერეკვას იმპერიალისტებთან შეთანხმებაზე.—ჩინეთის ნავთსადგურებში მოელიან ახალ სახელმწიფოს ბერძენ „ფესარიზის“ დასაცავად.—იაპონია ცდილობს ჩინელთა რიხსვა აიცილოს იმპერიალისტების წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობის გადაქცევით თეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობად.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დიპლომატების თავხედური განცხადება

პეკინი, 21 ივნისი. უცხოეთის დაინტერესებულ სახელმწიფოების საელჩოებმა პეკინში გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთის თავრობის დელეგატებმა წარუდგინეს უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიას ისეთი მოთხოვნილებები, რომელიც აღემატება ამ კომისიისათვის მინიჭებულ უფლებებს.

ცნობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ

ჩინეთი იმეორებს თავის მოთხოვნილებებს

პეკინი, 21 ივნისი. თავის პასუხში დიპლომატიურ კორპუსის უკანასკნელ ნოტაზე ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს, თითქოს ეხლანდელი მოძრაობა გამართული იყოს უცხოელების წინააღმდეგ და უარს ამბობს აცნობოს დიპლომატიურ კორპუსს შანხაიში წარმოებული მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ შეთანხმება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მთავარ საკითხების გადაჭრის შემდეგ, როგორადაც დელეგაცია სთვლის შერეულ სასამართლოების გაუქმებას, ფრომის პროობების გაუმჯობესებას და ჩინელების მონაწილეობას მუნიციპალიტეტებში.

ჩინეთის ახალგაზრდობა განმანთავისუფლებელი ბრძოლის მეგაირალტრეა

პეკინი, 21 ივნისი. ეხება რა მოწონაგე წერილში ჩემბერლენის სიტყვას ჩინეთის ამბე ის შესახებ „ჩინეთის ეროვნული აზროვნების“ ორგანო „ჩინბაო“ სწერს:

„ძნელია თავდაჭერილი პასუხი თვალთმაქცურ დარიგებაზე, რომელიც ჩემბერლენმა წაუკითხა ჩინეთს, მაგრამ ორი მოუფიქრებელი ფრაზა ამოდაგენებს მის ნაშდვილ ზრახვებს: მას სურს დაიცვას ინგლისელების სიცოცხლე და ქონება და მეელი პასუხისმგებლობა მომხდარ ამბებისა თვის დააკისროს ჩინეთის მთავრობას დასძენს რა, რომ მერყეობას და სიმხდალეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ჩინეთი განიცდის სერიოზულ მომენტს ბოქსიორთა აჯანყების შემდეგ და ჩემბერლენს ჰყოფნის გაბედულობა ამტკიცოს, რომ ინგლისელ რაზმების მიერ ბრძანების შესრულებამ

ბურჟუაზია იმპერიალისტებთან შეთანხმებას აპირებს

პეკინი, 21 ივნისი. საერთო მდგომარეობა შანხაიში და მთელს ჩინეთში უცვლელი რჩება, თუმცა ჩინეთის ბურჟუაზიას, ინტელიგენციის ზედა ფენებს, კონსერვატიულ პროფესორებს და „ბომინდანის“ მემარცხენეებს ეშინოდეთ ეშინეთ დათმობა-ზე წავლის სურვილი უცხოეთის სახელმწიფოების წინაშე.

შანხაიში, პეკინში, ტიან-ცხინში და სხვა ქალაქებში მუშების, სტუდენტების და ვაჭართა ორგანიზაციების გაერთიანებულ კომიტეტებში ადგილი აქვს უთანხმობას. შანხაის გაერთიანებულმა კომიტეტმა ენერგიული პროტესტი განაცხადა

საერთო მდგომარეობა ჩინეთში

პეკინი, 21 ივნისი. ამჟამად საერთო მდგომარეობა ჩინეთში შემდეგია: **მთავარი ბრძოლა სწარმოებს შანხაიში. სადაც გაფიცვა 3 კვირა გრძელდება.**

საერთო ბრძოლაში მონაწილეობისაგან სოციალურ ფენებათა დაყოფა თანდათან თვალსაჩინო ხდება: აშკარად იწყება ბრძოლა ერთის მხრივ **რევოლუციონურ მუშათა მასებსა, რევოლუციონურ სტუდენტობის და წვრილ ვაჭართა და მეორეს მხრივ ბურჟუაზიასა და მერყევ ინტელიგენციის შორის.** მუშათა მასებს ბრძოლას ხელმძღვანელობს პროფკავშირთა სბჭო.

საკავშირო პალატა, რომელიც შესდგება მსხვილ და წვრილ ბურჟუა-

მოლაპარაკების გადატანა პეკინში

პეკინი, 21 ივნისი. რეკოლიუციონერ ელემენტები საგონებელში ჩავარდნენ იმის გამო, რომ უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გადატანილია პეკინში, სადაც არ არის ძლიერი სამრეწველო პროლეტარიატი და სადაც იქნება უფრო ხელსაყარელი ნიადაგი კომპრომისისათვის. შანხაის საკავშირო პალატის მოთხოვ-

საყოველთაო გაფიცვა ფართოვდება

პეკინი, 21 ივნისი. **კანტონიდან** მიდებული ცნობით, **მსხვილ მრეწველებზე**, **რომლებიც** შესდგა 17 ივნისს, **დაადგინეს გამოაცხადონ** საყოველთაო **გაფიცვა** და **ბოიკოტი** ინგლისის და **იაპონის** საქონლის მიმართ. რეტერის საააგენტო გინკონგიდან იტყობინება, რომ **მეზღვაურებმა** **გაფიცვა** კანტონში **უკვე**

მდგომარეობა გონკონგში

პეკინი, 24 ივნისი. „რეიტერის“ საააგენტო ჰონკონგიდან იუწყება: „საყოველთაო გაფიცვა ფართოდ-ება გაფიცვას შეუერთდენ ტრამვაის მეშენი. ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. გაიფიცენ ადრეული ჩინეთის შინა მოსამსახურეები, კაუფერის, სასტუმროების მოსამსახურეები და სამედიცინო ჰოსპიტალის ჰერსონალი. გონკონგის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მან გადასწვეტა მიმართოს

ჩინეთის მუშებს ამიერ-კავკასიის მუშებისაგან

ა | კ. რკინისგზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება ამხ. **პარ საბაზვილისა ჩინეთში** იმპერიალისტების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის შესახებ.

მოხსენების შემდეგ საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იგი უცხადებს თანაგრძნობას ჩინეთის მუშათა კლასს ა | კ. რკინის გზის **პროფკავშირის სახელით. ამასთან ერთად რკინისგზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეგზავნოს ს. ს. რ. კ. რკინისგზელთა ცენტრს აუშუალებით ჩინეთის მუშებს ერთ-დროულ დახმარების სახით 2000 მანეთი.**

ბრძნობენ, რომ ქარგი დღე არ ეოელით

კონსულები გაგრავან.

პეკინი, 21 ივნისი. **ინგლისის** და **იაპონიის** **კონსულები ჩუნკინში** (ჩრეუანის პროვინცია) **იძულებული** **შეიქნენ** **დატოვებინეთ** **თავისი** **ბინები** **და** **გაქცეულიყვნენ**. **საკონსულოები** **დაიცარა**.

ცეცხლს უცხოელთა პოლიციელებს.

პეკინი, 21 ივნისი. შანხაის **უცხოელთა** **პოლიციელებმა** **ცეცხლი** **გახსნეს** **ჩინელ** **მუშებზე**. ხოელთა უბანში შეგროვილ მუშებმა ბის გარეკინის დროს მუშებმა სცემეს უცხოელთა პოლიციელებს ერთ-ერთ ადგილ-ადგილ.

„ფესარიზის“ დასაცავად

**ბრუნ ბრუნ ბრუნ

ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია საქართველოში

ახალციხეში

ბორჯომი, 22 ივნისი. გუშინ ინგლისის ქალთა დელეგაცია ამბ. მარიამ ოლიველშვილის, ჩერნი შევეს, შელიძის და იაშვილის . თანხლებით ჩამოვიდა ბორჯომიდან ახალციხეში.

ახალციხეში დელეგაციას შეხვდენ ფრაკალერიცხოვანი მშრომელთა მასები ადგილობრივ პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა მეთაურობით, დროშებით და ორკესტრებით.

მისასალმებელი სიტყვები წარმოითქვა ქართულ, სომხურ, თურქულ და ბერძნულ ენებზე.

სახასუხო სიტყვაში მერი კეილმა აღნიშნა, რომ ინგლისს დელეგაცია სულ უტრო და უფრო რწმუნდება საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერეში. აქ, ახალციხეში დაჩაგრული აღმოსავლეთის საზღვარზე, სადაც მოსახლეობა მრავალფეროვანია, სადაც სხვადასხვა ერები მუდამ მტრობდენ ერთმანეთს იმპერიალისტების პოლიტიკის წყალობით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაძ მოუდო ბოლო საუკუნოებრივ შუღლს და დაამყარა ძმური მეგობრობა ამიერ-კავკასიის ერებს შორის. ოცნება ხალხთა მეგობრობის შესახებ აქ რეალურ ფაქტად არის ქცეული.

მერი კეილმა განაცხადა: „მე გადავცემ ინგლისის მუშა ქალებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა აღმოსავლეთის ქალი, გაუთანასწორა ის უფლებებით მამაკაცს.

პროფორგანიზაციებმა დელეგაციას გაუმართეს საუზმე, რომელზედაც თავის მისასალმებელ სიტყვაში ამბ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ ოსმალეთის მშრომელები, რომლებიც ხშირად გადმოდიან ჩვენს საზღვარზე, სავსებით რწმუნდებიან იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება—ეს არის ნამდვილი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ახალციხიდან დელეგაცია გაემგზავრა ბაასთუმანში, სადაც ის დაათვალიერებს არჭინდოს სანატორიუმს.

ბაასთუმანში

ბორჯომი, 22 ივნისი. ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია ჩამოვიდა ბაასთუმანში.

დელეგაციაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ბორჯომ-ბაასთუმანის გზით მოგზაურობამ, პარკების სილამაზემ, სანატორიუმებმა და საბავშვო სახლებმა.

„არაზინდოში“ ინგლისის ქალთა დელეგაციას მიესალმენ დასასვენებლად გამოგზავნილი მუშები—ჰუტილოველები, მოსკოვის ფეიერები და ა | კ. მუშები. დელეგაციამ სუფათი გადაიღო მუშებთან.

დელეგატები განცვიფრებაში მოიყვანა „არაზინდო“-ში სანატორიუმის იდეალურმა სისუფთავემ, დამსვენებლების საუკეთესოდ მოვლამ, საუცხოო სასადილომ, აბანოებმა, თეატრმა, პარკმა და სხვ.

თბილმა მეგობრულმა მიღებამ, ამხანაგურმა წრემ და ხალისიანმა ცხოვრებამ სოციალიზმის ამ ნამდვილ კუთხეში დაავიწყვეს ის შთაბეჭდილებები, რომელიც მიიღო დელეგაციამ ახალი ყოფა - ცხოვრების ქვეყანაში, მუშათა და-გლეხთა საბჭოების ქვეყანაში.

ღამით დელეგაცია დაბრუნდა ბორჯომში.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ დილით ბორჯომიდან თბილისში დაბრუნდა და რამოდენიმე საათის შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით კავკავში გაემგზავრა ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია.

კავკაკიდან დელეგაცია გაემგზავრება მოსკოვში, იქიდან კი რიგაბერლინ-ბრიუსელზე გავლით ინგლისში.

გამგზავრების წინ დელეგაციის წევრებმა ადგილობრივ მუშაკებთან საუბრის დროს განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირში წამოსვლის წინ მათ საკმაებით გათვალისწინებული ჰქონდათ მათ წინაშე დასმული ამოცანის სირთულე: მად უნდა გაეგოთ და გადაეცათ ინგლისის მუშებისა და მუშა-ქალებისათვის სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ.

— ჩვენ დავრწმუნდით, რომ ევროპის ბურჟუაზიული პრესის მიერ საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებული ცნობები სიყალბეა,—გვიანცხადეს დელეგატებმა; ჩვენ დავრწმუნდით იმაშიც, რომ ხხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებ ს შეუძლებია ნამდვილი ბედნიერება განხორციელებული იქნეს რამდენიმე თვისუფლება მშრომელებისათვის.

ინგლისში ჩასვლის შემდეგ ჩვენ მივიდეთ ყველა ზომებს, რომ გამოვამჟღავნოთ კაპიტალისტური პრესის სიყალბე, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის მშრომელების წინააღმდეგ, და მოუპოვოთ სრული თავისუფლება ინგლისის მუშებს და მუშა-ქალებს.

ამბ. ჭელიძემ პროფსაბჭოს და საქართველოს მშრომელების სახელით სთხოვა დელეგაციას ინგლისში ჩასვლისთანავე დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა ინგლისის მუშებისათვის საბჭოთა კავშირის ნამდვილი მდგომარეობის გასაცნობად და ყოველს მხრივ ხელი შეუწყოს საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებას კაპიტალის ბრბის ფრონტის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

საუბარი ამხ. კრასინთან

მოსკოვი, 22 ივნისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ - ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ კრასინმა განაცხადა:

„საფრანგეთში ჩვენ ორი რამ გვაქვს გასაკეთებელი: ერთის მხრივ ფორმალურ - ეკონომიურ, ფინანსიურ და სავაჭრო ურთიერთობის განვითარება; მეორეს მხრივ—მოლაპარაკება სხვადასხვა საადო საკითხების მოსაწესრიგებლად. მარტის დასაწყისში პარიზში ჩავიდა ექსპერტთა კომისია პრეობრაჟენსკის მეთაურობით. ამ კომისიის ამოცანას შეადგენდა საკითხის წინასწარი შესწავლა რუსეთის ფასიან ქაღალდების რიცხოვნობის შესახებ. ამ კომისიამ დაასრულა მუშაობა. საფრახგეთის მეპატრონეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტა ამ კომისიას არ ჰქონია დავალებული. ამ საკითხს მთლიანად გადასწყის ორივე მთავრობის სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენცია.

ერრიოს სამინისტროს შეცვლას პენლევეს კაბინეტთან ბუნებრივად უნდა გამოეწვია ხელშეკრულების შეფერხება, რამდენადაც სამინისტროთა ნამდვილებანი დაიჭირეს ახალმა პირებმა, რომელთაც უნდა გაეცნოთ საქმის მდგომარეობა

ყველასთვის საინტერესო საკითხი, საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ვრანგელის მიერ წაყვანილ ფლოტის გადაცემის შესახებ. ძველ მდგომარეობაშია.

ჩვენი ვაჭრობა საფრანგეთთან ვითარდება. პარიზის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა საერთო ჯამი თანხის 100 მილიონ ფრანკს, მაგრამ ეს ჯამი გაცილებით ნაკლებია იმაზე, რომელიც ჩვენ გვექნებოდა მაშინ, თუ თავიდან იქნებოდა აცილებული დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის სავაჭრო და ფინანსიურ ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას.

უკანასკნელ ხანებში პარიზში საეაჭრო წარმომადგენლობას არ ჰქონია არც ერთი ხელშეკრულება, რომელიც დამყარებული არ იყოს კრედიტზე. უმეტეს შემთხვევაში გარანტია უზრუნველყოფილია მყიდველის ვალდებულებით.

მომდინარე წლის კარგი მოსავალი განამტკიცებს ჩვენს საეაჭრო პოზიციას საფრანგეთში, რამდენადაც საფრანგეთი გამოვა ჩვენი პურის მყიდველის როლში. საფრანგეთი განსაკუთრებით აფასებს ჩვენს ხორბალს, რომელიც დამყარებული არ იყოს კრედიტზე. უმეტეს შემთხვევაში გარანტია უზრუნველყოფილია მყიდველის ვალდებულებით.

მომდინარე წლის კარგი მოსავალი განამტკიცებს ჩვენს საეაჭრო პოზიციას საფრანგეთში, რამდენადაც საფრანგეთი გამოვა ჩვენი პურის მყიდველის როლში. საფრანგეთი განსაკუთრებით აფასებს ჩვენს ხორბალს, რომელიც დამყარებული არ იყოს კრედიტზე. უმეტეს შემთხვევაში გარანტია უზრუნველყოფილია მყიდველის ვალდებულებით.

მომდინარე წლის კარგი მოსავალი

ბულოლინის საგეფოში

ფაშისტური კანონი პრესის შესახებ

რომი, 21 ივნისი. მუსოლინის ოთხოვნის გამო პარლამენტი შეიკრიბა ღამით პრესის შესახებ გამოცემულ ახალი კანონის განსახილველად.

კომუნისტური ოპოზიცია სხდომას არ დასწრებია. კანონპროექტი მიღებული იქნა ერთი საათის განმავლობაში.

ამ კანონის მიხედვით, გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი უნდა დაამტკიცოს ქალაქის თავმა. დეპუტატებს და სენატორებს არ შეუძლიათ იკისრონ გაზეთების რედაქტორობა.

კანონის მიღების შემდეგ, მუსოლინმა განაცხადა, რომ პარლამენტი დათხოვნილია დეკემბრამდე.

მუსოლინის ეშინია ხვალინდელი დღის

რომი, 21 ივნისი. პარლამენტში იხილავდენ კანონპროექტს, რომელიც უფლებას ანიჭებს მთავრობას დაიმოწოოს მოხელეები თავისი შეხედულებით. კამათში მონაწილე კომუნისტებმა მაფიმ და რიბოლდამ აღნიშნეს, რომ კანონ-პროექტი ამტკიცებს იმას, რომ მთავრობა არაა დარწმუნებული, რომ იარსებებს ხვალ.

მუსოლინის გამოსვლის შემდეგ კანონპროექტი დამტკიცებული იქნა პარლამენტის მიერ.

კანონი იტალიის მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ

რომი, 21 ივნისი. პარლამენტმა დაამტკიცა კანონი იტალიის მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ.

იაპონიის ელჩი იაპონია—საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 21 ივნისი. იაპონიის ელჩმა ხაბჭოთა კავშირში ტანაკამ ამ დღეებში წარმოთქმულ სიტყვაში შეიფასა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

ტანაკამ განაცხადა, რომ ციმბირი მეტათ მიმზიდველ ასპარეზს წარმოადგენს სამოღვაწეოო იაპონიისათვის, რომელიც ღარიბია ნედლი მასალით იაპონია დაინტერესებულია ციმბირის არა მარტო სასოფლო-სამეურნეო განვითარებაში, არამედ მისი მინერალური და სატყეო სიმდიდრის ფართოთ განვითარებასა და დამუშავებაში.

ჩვენი სავაჭრო და სამრეწველო ინტერესები,—სთქვა ტანაკამ,—ერთნაირია და ამასთანავე მე ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ პოლიტიკურ უთანხმოებას უნდა ჰქონდეს ადგილი ორივე სახელმწიფოებს შორის.

გრძელდება ახალი ფყოგილების განმტკიცებისათვის ოსმალეთში

ყოფ. სულთანი იმედს არ კარგავს

ანგორა, 21 ივნისი. ანგორის დამოუკიდებლობის სასამართლომ ფრაიად საინტერესო მასალა შეკრიბა რეაქციონურ მოძრაობის შესახებ, რომელიც უნდა დაწყებულიყო 1926 წ. ყოფ. სულთანისა და განდევნილი პრინცების მეთაურობით.

სან.რემოსა (აქ ცხოვრობს განდევნილი სულთანი) და ოსმალეთის ქალაქ ალეპოსა და მოსულის შორის მუდმივი კავშირი არსებობდა. ყოფ. სულთანის ემისარები და აგენტები, რომლებიც ოსმალეთის საზღვრებზე მოქმედებენ, რეაქციონერთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს პერიოდულათ მოხსენებებს უგზავნიდენ.

იუწყებიან, რომ ყოფ. სულთანის მიერ „ხალიფატის კომიტეტის“ სახელით დაარსებულ რეაქციონურ ორგანიზაციას, ინგლისელების საშვალებით კავშირი ჰქონდა შეიხ სეიდთან.

ოსმალეთის გაზეთები იუწყებიან, რომ შეიხ-სეიდს გადაეცა დიდძალი ფული აჯანყების მოსაწყობად, რომელმაც ვადაზე ადრე იფეთქა.

ბეთგბოზე შეიხების დასჯა

ანგორა, 2 ივნისი. „დამოუკიდებლობის სასამართლომ“ სიკვდილით დიარბერქირში დასჯა გადაწყვიტა რამდენიმე შეიხს, შეიხ სეიდის მთავარ დამხმარეებს.

თვით შეიხ სეიდის გასამართლება გრძელდება. შეიხი სეიდი უარყოფს, რომ მას მიზნად ჰქონდა დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა და ა.ბადებს, რომ აჯანყების მიზანი იყო ხალიფატის აღდგენა.

სხვა მთავარი ბრალდებულები აღიარებენ აჯანყების პოლიტიკური ხასიათს.

რეაქციის აგენტების გასამარილება

ანგორა, 21 ივნისი. ანგორის დამოუკიდებლობის სასამართლოში "დაიწყო „ხალიფატის კომიტეტის“ აგენტების გასამართლება. ეს აგენტები დაპატიმრებული არიან სტამბოლში და ოსმალეთის სხვა ქალაქებში.

ომი მარროკოში

ფრანგ ზე

პარიზი. 21 ივნისი. „ჰავასის“ საგენტოს ცნობით, ესპანეთის მაროკოს დასავლეთის ზონაში მდგომარეობა რთულდება. რიფები თავს უყრიან თავიანთ ძალებს სხვადასხვა პუნქტებში ახალი შეტაკებისათვის.

ახალი დაპატიმრებანი

პარიზი. 21 ივნისი. იმის გამო, რომ მთავრობამ გა ა.წყვიტა ბოლო მოუღოს კომუნისტების აგიტაციას მაროკოს ომის წინააღმდეგ, პარიზში და პროვინციებში დააპატიმრეს 120 კაცი.

ესპანეთის მოლაპარაკება აბდელ-ქრიმთან

პარიზი 21 ივნისი. ცნობილი ესპანელი მოღვაწე ეჩეგარიეტა გაგზავნა რიფების ოლქში, რათა ა.ადლ-ქერიმთა. აწარმოვოს მოლაპარაკება ესპანეთის მთავრობის სახელით.

მკონტროლური კრიზისი იაპონიაში

ტოკიო. 21 ივნისი. იაპონიის თითქმის ყველა გაზეთები მთავრობას მიუთითებენ ეკონომიურ კრიზისზე, რომელიც დღითი დღე იზრდება.

სახელმწიფო რკინისგზების დეფიციტი 1925 წლის განმავლობაში გამოიხატება 9 მილ. იენში. საფოსტო ფულნახევი კასების ანაბარები ძალიან შემცირდა. ხელისუფლება სპეციალურ ზომებს მიმართავს, რომ გაადიდოს ანაბარების რიცხვი.

მთავრობამ წინადადება მისცა ყველა ბანკებს კრიზისის გამო შეიმცირონ თამასუქების აღრიცხვის პროცენტი.

ბრიტანეთის ფასეულობა მიაღწია 1918 წლის დონეს, როდესაც ბრიტანეთის სიძლიერემ მაღალი მწვერვალს გასწვდა.

ამის გამო იაპონიის ეკონომიური მდგომარეობა მეტად რთულდება; მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს ის ამბავი, რომლებიც ეხება ჩინეთში ხდება.

საერთაშორისო გუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

ტრანსპორტის მუშების ზეიმი

პარიზი. 21 ივნისი საფრანგეთის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირმა, რომელიც ემხრობა შრომის უნიტარულ კონფედერაციას, შესაძლებლად სცნო დაკმაყოფილებულიყო პირველი გაფრთხილებით და ბრძანება გასცა შეწყვეს იტალიური გაფიცვა პარიზის ქალაქის ტრანსპორტის კომპანიის წარმოებებში: გაფიცულების მიერ მოწყობილ მიტინგზე გამოვიდენ კომუნისტები მარშარი და სელიე, რომლებმაც აღუთქვეს მათ მუნიციპალიტეტში არჩეულ კომუნისტების სახელით სრული დახმარება.

გერმანია

ოკუპაციელია მეორეთ ინვალიდების საფრანგეთიდან გაყვანა

პარიზი. 21 ივნისი. რეფერენდუმზე ნამიურის ოლქში ბელგიის ლეგიონის მეგზურეულობის ყველა მუშები, მცირედის გამოკლებით მიეფარენ გაფიცვას, თუ წარმოებათა მეპატრონეები შეამცირებენ სამუშაო ხელფასს. 1 ივლისიდან უნდა ცალოდეთ ბელგიის მელითონეების საყოველთაო გაფიცვას.

სხვა და სხვა ამბები

— **ოსტროუმოვის საქმე.** აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყოფ. უფროსის საქმის გარჩევა ხარბინში ალბათ ორ თვეს კიდევ გაგრძელდება.

— **რკინისგზელთა გაფიცვა.** ბოლივიაში (სამხრეთ-ამერიკა) დაიწყო რკინისგზელთა გაფიცვა.

— **სასოფლო-სამეურნეო კონგრესი.** ვარშავაში 21 ივნისს გაიხსნა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კონგრესი.

— **უნგრეთში.** უნგრეთის მთავრობამ დაუწყო დევნა სოციალისტურ პარტიას, რომელიც სოციალ-დემოკრატიას ჩამოშორდა. ამ პარტიის ყველა კრებები აკრძალულია.

— **რუს ფეხბურთელების გამარჯვება.** გელსინგფორსში (ფინეთი) გაიმართა შეჯიბრება ფინელ და ლენინგრადელ ფეხბურთელებს შორის. შეჯიბრება ფინების დამარცხებით გათავდა.

— **საფრანგეთის ზეგავლენა.** რუმინეთის მთავრობამ, როგორც სჩანს საფრანგეთის ზეგავლენით, გაანახლა მოლაპარაკება სამხრეთ-სლავიისა და საბერძნეთის მთავრობებთან კავშირის შექმნის შესახებ.

— **ამხანაგები მხვერპლად შეწირეს ჯალათს.** უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პარლამენტში განაცხადა, რომ უნგრეთის სოციალ-დემოკრატია დროებით ფარს ამბობს სოციალ-დემოკრატ ფუნქციონერების შობოდის და მიჩოს მოკვლის გამო პარლამენტში შეკითხვების ზეტანაზე. იუწყებიან, რომ სოციალ-დემოკრატები ამ კომპრომისზე დასთანხმდენ უნგრეთის პრემიერ ბეთლენთან მოლაპარაკების შემდეგ.

— **ბრძოლა რეაქციონერებთან ოსმალეთში.** ოსმალეთის პოლიციამ დაეძებს გაზ. „ტეკკი ეკკიარის“ და „სონტელეგრაფის“ რედაქტორებს, რომლებიც დიმალენ.

— **მელითონეთა გაფიცვა.** ჰავანის საგენტოს ბრიუსელიდან (ბელგია) ატყობინებენ, რომ მუშა-მელითონეთა საგანგებო ყრილობამ დაადგინა პირველი ივლისიდან გამოაცხადოს გაფიცვა ყველა იმ წარმოებებში, სადაც შრომის ხელფასი შეამცირეს.

— **ინგლისის ახალშენები საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ.** ავსტრალიის ყოფილი დელეგატი ერთა ლიგაში ჩარლტონი ენერგიულად ილაშქრებს საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ახალი ზელანდიის პრესა კრიტიკულად უცქერის საგარანტიო ხელშეკრულებას.

— **სადუფლის საქმე.** საფრანგეთის მთავრობამ შეიჩერა გამომძიება სადულის საქმის გამო. გამომძიებელი უცდის დაბეღლების დასკვნას, რომელმაც უნდა დამტკიცოს, რომ სადულისათვის წაყენებული ბრალდება—კავშირი მტერთან—უსაფუძლოა, რადგან საბჭოთა კავშირს ომი არ ჰქონია საფრანგეთთან.

— **საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.** კომპარტიის ორგანო „რუტე ფანე“ აცხადებს, რომ ნოტა მოჭრთულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, **რადგან საგარანტიო ხელშეკრულება საშუალებას მისცემს საფრანგეთს შეიჭრეს გერმანიაში** ის შემთხვევაში, **თუ გერმანიის მუშებმა არ დაანებეს ხელმარ მასალების გაგზავნა ლონდონში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,** და ამით დამოუკიდებლად უზრუნველყოს საომარ მასალების გატანა ჰოლოფეთშიო. გაზეთი მოუწოდებს სასტიკი პროტესტისაკენ საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ.

გადაფრენა მოსკოვი-პეკინი

ნოვო-ნიკოლაევსკი, 22 ივნისი. მთელი გზის მანძილზე მოსკოვიდან ნოვგო-ნიკოლაევსკამდე „პროლეტკინოს“ კინო-ოპერატორები, რომლებიც თან მიჰყვებიან ექსპედიციას, იღებდენ გადაფრენის ყველა საინტერესო მომენტებს.

გადაღების პირობები ფრენის დროს ძალიან ძნელია, რადგან ოპერატორებმა, რომლებიც იმყოფებიან ჰაეროპლანის კაბინეტში, უნდა დაიცვენ წონასწორობა.

ამხ. შმიდტი

გადაფრენის ხელმძღვანელი

ნოვო-ნიკოლაევსკი. 22 ივნისი. მექანიკოსთა სამი დღის გაძლიერებული მუშაობის შემდეგ, ექსპედიცია ჰაეროპლანი მზად არის გასაფრენად.

ნოვო ნიკოლაევსკში გატარებული დღეები მფრინავებმა მოანდომეს ქარტის შესწავლას.

გადაფრენა ნოვო-ნიკოლაევსკის და ირკუტსკს შორის უნდა ხდებოდეს დღა-მიწიდან დიდ სიმაღლეზე.

ექსპედიცია გაფრინდება ნოვო-ნიკოლაევსკიდან, 20 ივნისს, საღ. 10 საათზე. ამინდი კარგია, დრუბელი არ არის.

ნიჟეულ რესპუბლიკებში

რუსეთი

ბრძოლა სახალხო ფულების გაფლანგვის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 22 ივნისი. იუსტიციის სახალხო კომისარმა კურსკიმ წინადადება შისცა ყველა საგუბერნიო და საოლქო სასამართლოებს და აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებს მიიღონ სასწრაფო ზომები სახალხო ფულების გაფლანგვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საუბრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია.

მოსკოვი, 22 ივნისი. საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია გუშინ ეწვია შრომის სახალხო კომისარს შმიდტს და სამი საათის საუბრის განმავლობაში დაწვრილებით გაეცნო კომისარიატის მუშაობას.

დელეგაცია განსაკუთრ ბით დაინტერესდა სოციალური დაზღვევის და შრომის დაცვის საკითხებით.

საბჭოთა ხესხის ოლქიგაციების გასასყიდი ფასი.

მოსკოვი, 22 ივნისი. საბჭოთა კავშირის ფინანსკომმა 21 ივნისიდან დაიწესა შემდეგი გასასყიდი ფასი საგლეხო ხესხის ობლიგაციებზე: 90 კაპ. ელირება მანეთიანი ობლიგაცია, 2 მან. 70 კაპ.—სამმანეთიანი და 4 მან. 50 კაპ.—ხუთმანეთიანი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აბარისტანი

მეაბრეშუმეობა

ბათომი, 22 ივნისი. აბარისტანში მეაბრეშუმეობის გაფართოების მიზნით მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი მისცა აგრონომიულ სექციას 5000 მანეთი.

ბათუმის ჩაი

ბათომი 22 ივნისი. „ზაკსოიუზმა“ გაგზავნა როსტოვში გასასაღებლად 16,000 გირვანქა ადგილობრი ვი ჩაი.

საბჭოთა კუნძეები

ბათომი 22 ივნისი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გახსნა წხომრიის თემში საბეიფოო პუნქტები, სადაც გაგზავნილი არიან ინსტრუქტორები-აგრონომები აგრონომიულ მუშაობის ჩასატარებლად.

საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობა

ბათომი, 22 ივნისი. სოფელ დანდალოს მ ხერვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს საკრედიტო-კოოპერაციულ ამხანაგობის გახსნის შესახებ.

შირაქის არხის გაბნევა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დენინაკანს არ ახსოვს ასეთი საზეიმო დღე.

გასაბჭოების პირველი დღეების შემდეგ არასოდეს ასეთი ძლიერი არ ყოფილა ხალხის აღფრთოვანება, როგორც დღეს.

მზემ უკვე უხვათ მიმოაპნია თავისი სხივები ლენინაკანის ნანგრევებზე, როდესაც სიპატიო ყარაული სადგურზე ერთსულოვანი და გამოკვეთილი „ურა“-ით მიესალმა ამიერკავკასიის და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებს.

ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ ქალაქი უკვე ზეიმობდა.

ბრწყინავ საზეიმო ხალიჩები, ყვავილები და დროშები სახლებზე, ყვავილები და მწვანე ფოთლები საფოლაქეებში, ეტლების ცხენების მოსართავებზე, ჩექმების მწვანედელთა ყუთებზე და ბავშვების და ქალების ხელში.

ყველა არხის შესახებ—ყველაფერი არხისაოვის.

ცენტრში, სადაც თავი მოუყრია ავტომობილების მომლოდინე სტუმრებს თბილისიდან, ნახიჩევანის მხრიდან, სომხეთის მაზრებიდან. გლეხები არ სჩანან.

მაგრამ გზაზე, რომელიც შიდის სადგურ კასპიისკენ, სადაც ღრმა ხეობაში მირბის, დარაბებს ეხეთქება ალბანელი,—მტვერიან გზაზე უკვე დიდი ხანია მიდიან სადღესასწაულოდ მორთული და მხიარულად მობაასე გლეხები.

ფეხით, გრეხზე, ურმებით და ცხენებით. ქალები ძუძუმწოვარა ბავშვებით, მოხუცები გლეხურ წვეტიან ქუდებში და მხიარული ახალგაზრდობა.

დღეს ეიწრო ხეობაში, სადაც არაბიჩი საშინელი სიძლიერით ეხეთქება ქვებს, უკვე დასადგომი ადგილი აღარ არის.

მთის აღრეგებითი გაკრულან მუშვერვალებზე ადამიანები. ყველა მუშვერვალები, ცარიელი ადგილები, საცალფეზო გზები და დროებითი ხიდი დაკავებულია დამსწრეთა მიერ.

წითელ ტრიბუნასთან, რომელიც აღმართულია მოცეკვავე ხიდთან, თავი მოიყარეს სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს წევრებმა, თბილისიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა, სტუმრებმა, ნანსენმა და მისმა კომისიამ და სათვალეებიანმა მისტერებმა აუცილებელი ფოტოგრაფიული აპარატებით ამერიკის კომიტეტიდან.

მდინარე არპაჩაზე აღმართულია უზარმაზარი წითელი დროშა და მასზე მიმაგრებული ლენინის ბიუსტი.

ლენინი ხედავს, თუ როგორ ხორცს ისხამს მისი სიტყვები...

— ხელოვნური მორწყვა უპირველეს ყოვლისა. ის გაადვილებს სოციალიზმზე გადასვლას.

მზე უკვე უმაღლეს წერტილს აღწევს. ორივე მხრიდან დახურულ ხეობაში სიცხე განსაკუთრებით საგრძნობია.

აი დახურეს მთავარი რაბი და ჯებირის ქვის ბეტები თანდათან იფარება წყალით.

20 წუთის შემდეგ, როდესაც წყალი უკვე ჯებირზე გადადის, არხის მშენებლის — წითელი ინჟენერის იაკიმოვის ნიშანის თანახმად გაისმის „ზალპი“ თოფებიდან, რომელიც აურუებს იქაურობას. ორი ორკესტრის „ინტერნაციონალის“ ხმების და ხალხის მქუხარე ტაშისა და „ურა“-ს ძახილის ქვეშ ამსანაგი ხანოიანი და მახარაძე ხელს მოკიდებენ რაბის ასაწევ ბორბალს.

გვირაბის რაბის აწევის დროს ხალხის სიხარულს უკვე საზღვარი არ აქვს. ნელა ბრუნავს ბორბალი. მქუხარე „ურა“ ზორს გაისმის ხეობაში, როდესაც ბორბალს ხელს მოკიდებს ნანსენი და მარჯვედ დაატრიალებს მას.

წყალი, რომელიც გასავალს ვეღარ პოულობს დახურულ რაბთან, მიემართება გვირაბში, რომ იქიდან გამოვიდეს შირაქის ველზე და მაცოცხლებელი ნამი მომოაბნიოს იქ.

შირაქმა ფერი იცვალა. სომხეთის ძველი მდიდარი კუთხე აღსდგა მკვდრეთითა.

— სომხეთის ხალხი თავისი მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე და განსაკუთრებით ომის შემდეგ, ყველაზე უფრო დაზარალდა. მაგრამ თავისი შრომის მოყვარეობის და ენერგიის წყალობით, მან მოკლე დროის განმარლობაში მოიშუშა იარები და იმ ქვეყანაში, რომელიც მხოლოდ ნანგრევებსღა წარმოადგენდა, დაამკვიდრა ახალი, ნათელი ცხოვრება.

ასე განაცხადა ნანსენმა საჯარო ძიტინგზე.

Ш.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიისაგან

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის [illegible] ლევის შედეგებთან დაკავშირებით, რაც 31 მაისს გაზეთებში იყო გამოცხადებული, მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჭიროთ მიიჩნია აღნიშნოს, რომ ხსენებული სარევიზიო გამოკვლევა შეეხებოდა 1923 წ. 1924 წ. და მუშაობას.

საქ. მ | გ. ინსპექციის კოლეგია

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

პარტიის და კომკავშირის აქტივის და საბჭოთა მუშაკების ჯანმრთელობის გამომრკვევ კომისიის მუშაობა

კომისიამ გასინჯა 103 კაცი. მათგან 7 კაცი აღმოჩნდა სრულიად ჯანმრთელი. დანარჩენი 96 კაცი ავად არიან, 176 სხვადასხვა ავადმყოფობით. საშუალოდ, თვითეულ კაცზე მოდის ორი ავადმყოფობა. გასინჯულთა შორის კომისიამ გულის ავადმყოფად სცნო—22 კაცი, ფილტვებით - 38, ნერვებით—46, სისხლხაკლებნი—56, ცუქით ავადმყოფნი—7, მალიარიით—5, სახსრების—2.

კომისიამ გადასწყვიტა უფრო სერიოზული ავადმყოფნი გაგზავნოს კურორტზე სამკურნალოდ. პირველ რიგში გაგზავნილია კურორტზე 8 ფილტვებით ავადმყოფი, 3 გულით, 1 ცუქით ავადმყოფი. მეორე რიგშიაც ამდენივე ავადმყოფი იქნა გაგზავნილი. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომისიის მუშაობა.

სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საგ.-კოლეგიის გადაწყვეტილებები სახ. განათლების განყოფილების მოხსენების შესახებ ძალოდ წინადადება მისცა სკოლების პროგრამის საკითხი გადატანილ იქნეს შემდეგ სხდომაზე. განათლების განყოფილებას ეძლევა წინადადება მოამზადოს ყველა მასალები, რომელიც პროგრამას ეხება. კომკავშირის თბილისის კომიტეტმა განათლების განყოფილებასთან ერთად წინადადება შეიტანა განხილულ იქნეს საკითხი მოწაფეთა საქალაქო კონფერენციის მოწვევის შესახებ, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საგ.-საპრ. განყოფილებას მოამგეაროს და გაიარმაოს მუშაობა პედაგოგ-კომუნისტებს შორის, მიაქციოს ყურადღება მაქსიმუმი ხასწავლელებას გადამზადებაა და დაიწყონ პროფესიონალურ სკოლების დეპულებათა შესწავლა.

საბავშვო ბაღლებში მუშაობის შესახებ.

კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს საბავშვო ბაღლებში მუშაობის სისუსტეს, უმთავრესად სოფლად, აგრეთვე აღსანიშნავია საბავშვო ბაღლების სიმცირე სოფლად. წინადადება ეძლევა განათლების განყოფილებას, ახალ საბიუჯეტო წლიდან სერიოზული ყურადღება მიაქციოს სოფლად საბავშო ბაღლების მოწყობის საქმეს.

საგზიტაციო კოლეგიაში ჭლექის სამდღეიანი.

აგიტ-კოლეგიამ გადასწყვიტა ჭლექის სამღეიანის კამპანიის ჩატარება დაიწყოს 26—28 ივნისს.

შექმნილია კომისია ამ კამპანიის ჩასატარებლად, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: ასრიბეკოვი, სუხიშვილი, ივანოვ-კავკასკი, სოსიანი, კამალოვი, ჭელიძე, ჩხარტიშვილი, მახარაძე, გობეჩია, დვორიანოვი და ადამაძე.

კომკავშირის საგზიტაციო-საპროპაგანდო კოლექტივების ხელმძღვანელთა შესახებ

თბილისის კომიტეტის საგიტაციო კოლეგიამ დამტკიცა კომკავშირის თბილისის კომიტეტის დადგენილება საგიტაციო-საპროპაგანდო კოლექტივების ხელმძღვანელობისათვის ამხანაგების მობილიზაციის შესახებ. საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება პარტიის რაიკომების აგიტ-პროფებს.

კომკავშირელთა და პიონერთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანათლებლო მუშაობის გამომრკვევის შე ახებ

თბილისის კომიტეტთან შესდგა კომისია კომკავშირელთა და პიონერთა შორის მუშაობის გამოსარკვევად.

კომისიაში შედიან: გობეჩია, ბუდილევი, რაბინოვიჩი, ირუტინოვი და საქ. კომ. კავშირის ცენტ. კომიტე

[illegible] კომუნისტი

პატარა ფელეტონი

არაკი, ანუ იგავი, ასასხვა სინამდვილისა!..

მე შრომის სასამართლოში
ვიხილე კანცელარია...
ეწორეთ ამ „სოვგარი ზნენბმა“
[illegible] ბოვრება არია!...

[illegible] ების ქაღალდსა
[illegible] ენახე ალარა,
თუცა მდივანსაც ვეახელ,
დარბაზშიც ვკარი ნაღარა.

დაუწყეს ძებნა ქაღალდსა:
„აქ იყო!“.. განხდა ზარები...
ლოდინმა გული დამიდნო...
კაცის ჩრდილს თუ ვედარები!..

„...ქორმა წიწილა წაიღო,
ეძახდა „წიავ-წიავ“-სა...
ლურჯ ყდაში თეთრი ქაღალდი,
ვფიქრობ, თუ გაჰყვა ნიავსა!..

ჰქექენ... ვით ნივთი, უვარგი,
ნაგავში მიმალულიყო..

„გულის ფანცქალით შეკითხე:
შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“...

მდივანმა ხელი დაავლო
და, მარიდა-რა თვალები,
საქმის ქაღალდებს შეჰკრა,
რომ წრიალებდენ ქალები...

ვითომ აქ არაფერია,
ისე კი მიმზერს ის ქალი!..
მე, ამის მომსწრემ, იმ წუთში
ძლივს მოვიმაგრე პირს წყალი!..

მეთქვა? რა მეთქვა? რა მექნა?
ასე ორ ცეცხლში ვიწოდი!..
ჩემი ქაღალდი, „ნახული“,
წკაფში რომ იდო, ვიცოდი!..

ბოლოს... მომხედა მდივანმა:
„ნახა“ თავისი ნახული!
ქალი მსმენია... მაგრამ ქვით
ასეთი გამოხახული!..

შეიქნა ერთი ჩოჩქოლი:
„ინახა რა სანახავი!“...
ვინ იყო: მე, თუ ისინი,
ამ წუთში გასალახავი?!..

მაგრამ... არაკი გათავდა,
საქმე კი ითხოვს თვისასა
კანცელარიის ეს წესი
ჩვენსას ნუ,—ისევ მტრისასა!..

ონისიმე.

ტვირთების გადაზიდვა ჰაროკლანეგით სპარსეთიდან და ამიერ-კავკასიიდან ევროპაში

ამ ჟამად სააქციონერო საზოგადოება „იუნკერს“-ი შეუდგა საჰაერო სამგარგო ხაზის მოწყობას სპარსეთიდან (ენზელი) ამიერ-კავკასიიდან, ყიზლარიდან და ოდესიდან ვენაში.

ამ საჰაერო ხაზის მთელი სიგრძე უდრის 3.550 კილომეტრს და ის შეიძლება გავლილი იქნეს ჰაეროპლანის მიერ 24 საათში, და თუ მხედველობაში მივიღებთ გზაში შეჩერებას, მაშინ ეს მანძილი გავლილი იქნება ორი დღე და ღამის განმავლობაში.

ამრიგათ, ტვირთები სპარსეთიდან ევროპაში გადატანილი იქნება 48 საათში, ამიერ-კავკასიიდან კი უფრო ნაკლები დროის განმავლობაში. ეს იმ დროს, როდესაც რკინისგზით და გემებით ასეთი ტვირთების გადაგზავნას მოუნდება რამოდენიმე ათეული დღე.

სასოფლო მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა

ჩვენს თანამშრომელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში აცნობეს შემდეგი:

ამ ჟამად დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრებში მეტათ გავრცელებულია სიმინდის ჩირი, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ხორბლეულობის მარაგისათვის.

მიღებული ცნობებით, დასავლეთ საქართველოში ჩირმა დაიზარალა 12 მილიონი ფუთი სიმინდი, რომელიც აღარ ვყოფა სახმარებლათ.

1921 წელში სიმინდის ჩირის გაჩენის ნიადაგზე სამეგრელოში ადგილი ჰქონდა სიმშილობას, რომელიც შეიძლება განმეორდეს წელსაც, თუ მიღებული არ იქნა სათანადო ზომები.

მიმდინარე წელში ძალიან გავრცელდა ჩვენში სოფლის მეურნეობის მავნებელთა რაოდენობა, რამაც მეტათ გაართულა მდგომარეობა.

სიმინდის ჩირის საწინააღმდეგო საშუალება არის გოგრად-ნახშირბადი. იმ მიზნით, რომ მოსახლეობა გაეცნოს მის გამოყენებას, გაზეთულზე ყველა მაზრებში ჩატარებული იქნა საჩვენებელი დიზენსექცია. შემოდგომაზე საჭირო იქნება მასიური დიზენსექციის ჩატარება ყველა სოფლებში და ყველა გლეხების სასიმინდეებში.

სულ სიმინდის ჩირის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იქნება 1.500 ფუთი გოგრად-ნახშარბადი და მათი შესანახი კასრები და სხვა მოწყობილობა.

ამას გარდა აღმოსავლეთ საქართველოში მეტად გავრცელებულია გუდაფუტა. ის აჯდება პურის თავთავს, ლერნის ხორბალს, რომელიც შემდეგ მავნებელია სახმარებლათ. ასეთი ხორბალი გაწმენდილი უნდა იქნეს ფარმალინით.

აშ ბოლო დროს თბილისის მაზრის თრიალეთის რაიონში მრავლათ გაჩნდა კალია, რომელმაც დაიზარალა 300 დესეტინა ნათესები: ბოსტნები და ველები. კალიის წინააღმდეგ ჩვენ ვხმარობთ მიშიაკის სითხეს და მიგმართავთ აგრეთვე მოტყუების მეთოდს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კალიის მსვლელობის გზაზე ჩვენ ვყრით მოწამლულ ქატოს, ოომელსაც სჭამენ კალიები და კვდებიან. უკვე მიღებული ზომებით კალია თითქმის სავსებით განადგურებულია.

ამას გარდა ახალქალაქის მაზრაში გაჩნდა პურის ხოკო (хлебный жук), რომელმაც დაიზარალა მაზრის მთელი ნათესების სამი მეოთხედი. ჯერ-ჯერობით ეს ხოკოები პატარეები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია. შემდეგ, როდესაც ისინი გადაიქცევიან ნამდვილ ხოკოებ თ, შეუდგებიან მათ დაჭერას ხელით, რადგან სხვა საშუალება მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ არ არსებობს.

საქართველოში გავრცელებულია კიდევ სხვა მავნებლებიც, რომელთა წინააღმდეგ უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

არსენალის რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია

მეოთხე დღე

ქამათი ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენებიდან გაგრძელება

ხელფასის საკითხი

მეოთხე დღის სხდომაზე გაიმართა ქამათი ს. მ. უ. ს. მუშაობის გარშემო. ორატორები უმთავრესად ეხებოდენ ლითონის მრეწველობას, რომლის ასაღორძინებლად ასახელებდენ სხვადასხვა ღონისძიებებს. ორატორების ნაწილი შეეხო აგრეთვე კოლოფების წარმოების შემცირებას და ძოითხოვა კვლავ გაფართოვება წარმოების ამ დარგისა.

ამხ. ჟოჟიკაშვილი თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ლითონის მრეწველობის გასაფართოებლად უკვე მიღებულია სათანადო ზომები. ჩათხის მდგომარეობის შესასწავლად და გამოსარკვევად მოსკოვიდან მოემგზავრება განსაკუთრებული კომისიაო.

რეზოლიუციის გამომუშავება კონფერენციამ პრეზიდიუმს მიანდო.

ხელფასის საკითხი

(მომხსენებელი ამხ. მაჩაიძე)

სამუშაო ხელფასი

მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს ხელფასის მდგომარეობას ცალკე კავშირებში სამთო-მადნო წარმოებაში შეიქსე კათეგორიის მუშა იღებს თვიურად 40 მან. 37 კ. მშენებელთა კავშირის—38 მან. 38 კაპ. მბეჭდავთა კავშირის—37 მან. 90 კ. საბჭ. მოსამსახურეების—30 მან. 18 კაპ. საერთოდ საშუალო ხელფასი ყოველი დარგის მუშა-მოსამსახურის 34 მან. 77 კაპიკით განისაზღვრება დაახლოებით ასევე იყო ამავე კათეგორიის ხელფასი გასულ წელსაც.

პირველი კათეგორიის მუშა-მოსამსახურის საშუალო ხელფასი ამჟამად უდრის—14 მან. 05 კაპიკს.

ნარდი სამუშაოები

შრომის ნაყოფიერების და აგრეთვე ხელფასის გადიდების მიზნით შემოღებულ იქნა ნარდი სამუშაოები, ამჟამად ტყავის წარმოებაში ნარდი სამუშაოები შეადგენენ მთელი ხელფასის 20—30 პროცენტს, სამთო-მადნო კავშირში — 30—40 პროც., მელიორონელებში 60 პროც., მეთამბაქოებში— 40 პროცენტს.

შრომის ნაყოფიერება

გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა საშუალოდ 6—75 პროცენტით. ტყიბულის მაღაროებში გასული წლის ოქტომბერში თვითეული მუშა ამუშავებდა საშუალოდ 25 ფუთ ქვანახშირს, ა. წ. მარტში კი—27 ფუთს; ჭიათურაში 1924 წლის ოქტომბერში ერთს მუშაზე მოდიოდა—50 ფუთი შავი ქვა, ა. წ. მარტში—65 ფუთი.

საჭიროა ხელფასსა და შრომის ნაყოფიერებას შორის დამყარდეს ერთგვარი წონასწორობა; ხელფასმა არ უნდა გაუსწროს ნაყოფიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება დაირღვევა. დღევანდელი ხელფასი არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მეურნეობის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით საშუალებას არ იძლევა მის გადიდებლად. შეიძლება მოხერხდეს ხელფასის გადიდება იმ მუშა-მოსამსახურეებისთვის, რომელნიც ხელფასით ძალზე შევიწროებულნი არიან.

დასასრულ მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომელზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მეხუთე სხდომა.

თბილისის მუშკოოპის საქმიანობა

(მომხსენებელი ამხ. ერისთავი).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუშათა კოოპერაციას ახლავს მრავალი ნაკლი და უწესობა, რომლის აღმოსაფხვრელად უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

მეორე გარემოება, რომელიც აბრკოლებს კოოპერაციის ზრდას ან დაბელს უწყობს კერძო ვაჭრობის განვითარებას და წარმატებას, არის მუშა-მოსამსახურეთა პასიური დამოკიდებულება კოოპერატიული ორგანიზაციებისადმი.

საჭიროა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა და პროპაგანდა—კოოპერაციის საპაუწყიარიზაციოდ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშკოოპის საქმიანობას.

თბილისში მოქმედობს სულ 176 კოოპერატიული ერთეული. 1922—23 წელში კოოპერატივების საშუალო წლიური ბრუნვა უდრიდა 700 ათასს მანეთს, 1914 წლის მეორე ნახევარში და 1925 წლის პირველ ნახევარში 1.028.000 მანეთს. ე. ი. ბრუნვა დაახლოებით 40 პროცენტით გადიდებულა.

მუშკოოპის ფასები კერძო ბაზართან შედარებით ნაკლებია 5—7 პროცენტი.

ბიბილეოგრაფია

პირველი ქართული ტერიტორიალური ნაწილების ზეძრების შედეგი

საქართველოს მე-2 ტერიტორიალურ დივიზიონ რესპუბლიკის მასშტაბით მოახდინა 15 ივნისს 1902 წელში დაბადებულთა პირველი ცალადი შემადგენლობის შეკრება ტერიტორიალურ ნაწილებში პირველი წლის ყაზარმული მეცადინეობის ჩასატარებლად. გარდა დაფესებული დროისა (ორ თვე ნახევარი), ესენი დარჩებიან ნაწილებში კიდევ ერთ თვეს, ე. ი. მოეხდებათ სამსახური სულ სამ თვე ნახევარს. შეკრებილ ნაწილებს მიეცემათ ყოველგვარი კმაყოფა (ტანისამოსი, ჯამაგირი და სხვა) ისევე, როგორც საკადრო ნაწილებს.

მიუხედავათ იმისა, რომ შეკრება უნდა ჩატარებულიყო პირველ ივნისს და მოხდა კი, სხვადასხვა პიზეზების გამო, 15-ს, დროის გამოცვლამ შეკრებაზე ცუდი გავლენა ვერ მოახდინა. ნაწილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, პირველ დღესვე გამოცხადდა შესაკრებათ 90 პროც. ხოლო დანარჩენი 10 პროც. თანდათან იკრიბება. ნაკლები გამოცხადება მოხდა საარტილერიო ნაწილებში, რაც აიხსნება იმით, რომ მათთვის განსაზღვრული რაიონები არ არსებობენ და იწერებიან მთელ დივიზიის ტერიტორიაზე, როგორც სპეციალი ნაწილები.

შეკრების მხრივ დაბრკოლება გვხვდება ყარაიაზის რაიონში. სადაც აქაური თათრები რომლებიც მიწერილი იყვნენ ცალკეულად შემადგენლობაზე, არ გამოცხადდენ მთაბარად გასვლის გამო და ეხლა უკვე მიღებულია ზომები, რათა ისინიც გამოცხადდენ.

პირველი ცდებისათვის ეხლანდელი შეკრება დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან შემადგენლობა ცალკეულად ნაწილებისა მოდიოდა შესაკრებ პუნქტებზე დიდის ენტუზიაზმით, ხოლო ჩამორჩენილები თავის ხარჯით ეწეოდენ ეშელონებს მატარებლებით. განსაკუთრებული ერთსულოვანი შეკრება აღსანიშნავია ლეუჭალმბურგის რაიონში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები და ორგანიზაციები უმართავდენ ცალკეულად შესაკრებ შემადგენლობებს საზეიმო გაცილებას, ჩაბარეს მათ დროშა და თბილისისაკენ წამოსვლისას, რათა ფეხით არ ეფლოთ, მისცეს ურმები. კარგად ჩატარდა შეკრება დუშეთშიც.

ნაწილები დიდი ხანია ემზადებოდნენ მათ შესახვედრათ და ამიტომ დახვედათ მათ დამზადებული და მოწყობილი ყაზარმები.

ეხლა დივიზია ემზადება მეორე კამპანიის ჩასატარებლად, საერთო შეკრებისათვის სეტყემბერში, როდესაც მოწვეულნი იქნებიან: 1899, 1900 და 1901 წლებში დაბადებულნი, დანარჩენ შემადგენლობაზე მიესწერად, რომელთა სამსახურის ვადა განისაზღვრება ერთი თვით.

აკ. სახალხო კომისართა საბჭოში

საკრედიტო აბანაგობანი.

ა | კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით საკრედიტო ამხანაგობებმა სესხი უნდა მისცენ აღნიშნულ ამხანაგობათა არა წევრებ აც.

დახმარება უმუშევრებს.

სახ. კომ საბჭომ შეიტანა ა | კ. ცეკ-ში დასამტკიცებლად პროექტი უმუშევრობასთან საბრძოლველათ შრომის კოლექტივებისა და სხვა ორგანიზაციების დაარსების შესახებ.

საბინაო კოოპერატივი.

ა | კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის ნორმალური წესდება.

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის

ძირითადი კაპიტალი ა | კ. სახ. კომისართა სხდომაზე დადგენილებით შემცირებულია 3 მილიონ მანეთამდე.

განათლების ფრონტზე

უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში.

უკრაინის სახალხო განათლების კომისარიატმა საქართველოს განათლების სახ. კომისარიატს უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში დაღუმთ რამდენიმე დგილი. უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველ სტუდენტებმა უნდა იცოდენ აუცილებლად უკრაინული ენა. ვინც იცის უკრაინული და სურს აღნიშნულ ადგილების დაკავება, განცხადებები უნდა შეიტანონ განათლების სახ. კომისარიატში 23 ივლისამდე.

იარალები ფიზიკურ კაბინეტებისათვის.

განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა ტეხნიკუმებს, რომ ახლო მომავალში წარმოადგინონ ცნობები თუ რამდენი და რა იარაღებია საჭირო ტეხნიკუმებთან მოსაწყობ ფიზიკურ კაბინეტებისათვის.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში

მაცადინეობა თეორეტიულ საგნებში შეწყდა 20 ივნისს.

ქრონიკა

ხელოვნებიური გამოკვლევა

საქართველოს ეკონომიურმა სამეცნიერო საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ა | კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაზე, რათა გაღებულ იქნეს მინდინარე სამეურნეო წელში ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების განკარგულებაში გეოლოგიური გამოკვლევების საწარმოებლად და სამთო ზედამხედველობის მუშაობისათვის ნორმალურ პირობების შესაქმნელად 18.300 მანეთი.

ნაზედავრ კრედ. გადასახადის გაუქმება

ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: საქ. ეკონომიურ საბჭოს 1924 წლის ივლისის 28-ის დადგენილება—პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს სასარგებლოდ კოოპერატივების ნახ. პროცენტიანი გადასახადით დაბეგვრის შესახებ ა—წ. ოქტომბრის 1-დან გაუქმებულ იქნას.

— **ფ.-ტელეგრაფის კომისარიატმა** თავის დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებისათვის ერთ-ერთ აგარაკზე დასასვენებელი სახლის ასაგებათ გადასდო 8000 მან.

— **მძლავრი წიხქვილი.** თბ. საბჭოს საგეგმო კომისიამ კომუნალურ განყოფილებას დაავალა შეადგინოს დაწერილებითი გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა მძლავრი სამრეწველო წიხქვილის ასაგებათ.

— **დახმარება უმუშევრებს.** 25 ივნისს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ივნისის თვის ფულად დახმარებას იმ უმუშევრებზე, რომლებსაც აქვთ საწევრო წიგნაკი № 1-დან 2300-მდე.

— **სურსათ-გემოვნების** კავშირის კონფერენცია გაიხსნება თბილისში 1 ივლისს.

— **ქართოფილის ფქვილის** დასამზადებელ ქარხანას ცეკავშირი ხსნის ახალციხის მაზრაში.

— **მეფართლეთა არტელი.** საკაჭროთა და საბჭოთა მუშაკების კავშირის თაოსნობით ახლო ხანში მოწყობილი იქნება მეფართლეთა არტელი.

— **საფიქრო სახელოსნონი.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილებამ დიდომსა და ავლევში გახსნა საფიქრო სახელოსნონი, სადაც მუშაობს 45-მდე მოწყვეთ.

— **საკერამიკო სახელოსნონ.** შინა-მრეწველობის განყოფილებამ სვანეთში მოაწყო საკერამიკო სახელოსნონ.

— **ალაზანის ველის მორწყვა.** საქ. საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულ გეგმის მიხედვით ალაზნის არხის გაყვანა დაჯდება 2,655 ათასი მანეთი. არხი მორწყავს 50 ათას დესეტინა მიწას.

— **მავნეებთან ბრძოლა.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ ხაშურის რაიონში ჩაატარა ბრძოლა პურეულობის მავნეებთან წინააღმდეგ.

— **ცემენტი.** ზაჰესმა „ნოვოროსიის ცემენტს“ დამატებით შეუკვეთა 300 ათასი ფუთი ცემენტი.

— **საქონლის შემოტანა.** ა | კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ა | კ. შინა-ეკონომიის კომისარიატს გამომიმუშავოს 1925—26 წელში საქონლის შემოტანის გეგმა.

— **თბილის-ყოჯორის შორის** ტრამვაის გზის გასაყვანათ წინასწარი მუშაობის საწარმოებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 15 ათასი მან.

— **მშობიარობის გაადვილება** ჯანსახკომმა საზღვარ - გარეთიდან მიიღო მშობიარობის გამაადვილებელი აპარატი, რომელიც დადგმული იქნება საშობიარო ინსტიტუტში.

— **დარაბების გადაკეთება.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გაიღოს სათანადო თანხა უფარგის დარაბების გადასაკეთებლათ.

— **ცნობათა მაგიდა.** თბ. აღმასკომთან არსდება ცნობათა სპეციალური მაგიდა, საადგანაც მსურველები მიიღებენ ყოველგვარ ცნობებს უფასოდ.

— **დახმარება გლეხებს.** თბ. აღმასკომმა შესაძლებლათ სცნო ტლეულაღის რაიონის გლეხობას დაეხმაროს ათასი ფუთი ხორბალით.

— **ექსკურსია.** საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის მგზავრობსნენ განყოფილება აწყობს გაფრენს, ხუთშაბათს, 25 ივნისს, ზაჰესში. გასვლა მატარებლით ღილით 8-საათზე.

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში.** დღეს 23 ივნისს, საშაბათს საღამ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის საადუდტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაიკითხავენ მოხსენებას: 1. გიორგი წერეთელი: „არაბული აინ ბეერის შესატყვისობისათვის ქართულში“ და 2. ალნ. ჩიქობავა: „ხანმეტრბისა და ჰაემეტრბის ურთიერთობისათვის“. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

— **ოთხშაბათს,** 24 ივნისს, უნივერსიტეტის თავგრ შენობაში დღის 12 საათზე, ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის უფროსი ასისტენტი ეკ. ა. წულუკიძე, დაიცავს სადისერტაციო შრომას შემდეგი სათაურით: „ბადეკონის მნიშვნელობა ქირურგიაზე“. ოფიციალ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. გ. მუხაძე, პროფ. ს. ამირეჯიბი და პროფ. ნ. კახიანი.

— **ნიხრი ხე-ტყეზე.** საქ. საგეგმო კომისიის წინადადებით, მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა ხე-ტყის ნიხრის გადმუშავებას. ამ ნიხრის გადასინჯვის მიზანია ძირეული ხე-ტყის სახეხრო ფასები დაწესდეს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით, როგორც შინაურ, ისე საგარეო ბაზარზე.

მდგომარეობა სენაკის მაზრაში

(საქართველოს ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თანამშრომლის ანგარიშიდან მასალების მიხედვით)

საქართველოს ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დასამუშავებლად არსებულ თათბირის მიერ სენაკის მაზრის გამოსაკვლევად გაგზავნილი იყო ამხ. ჭანტურია, რომელიც უკვე დაბრუნდა იქიდან და შეადგინა სათანადო მოხსენება თათბირის პლენუმისათვის წარსადგენად.

პირველი თემი, რომელიც გამოიკვლია ამხ. ჭანტურიამ, იყო ხორშის თემი, სადაც თემის აღმასკომის თავმჯდომარეც ითვლება ტყებუჩავა, რომელიც არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობს ხალხში; ან რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მას, როდესაც იგი შენიშნულია მამიდაშვილობაში, მეკრთამეობაში და სხვა ბოროტმოქმედებაში. მისი „საგმირო“ საქმეების შესახებ მსჯელობა ჰქონია სამაზრო აღმასკომსაც; გადაწყვეტილი ყოფილა მისი თანამდებობიდან მოხსნა, მაგრამ უყურადღებობის გამო ის დღესაც არხეინად განაგრძობს „მოღვაწეობას“, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

ამ თემში არც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არიან კმაყოფილი გლეხები, რადგან გლეხობის გადასახადებით დაბეგვრა გატარებულია არაკანონიერად; დაბეგვრის დროს მხედველობაში მიღებული არ ყოფილა გლეხების მდგომარეობა, მიწების სიმცირე და ნაყოფიერება.

ცუდათ არის აგრეთვე დაყენებული სწავლა-განათლების საქმე. ამის მთავარ ხელის შემშლელ პირობად უნდა ჩაითვალოს სათანადო ბინის უქონლობა, რის გამო სწავლის მიღების მსურველთა 50 პროც. სკოლის გარეშე არის დატოვებული.

ცუდ მდგომარეობაშია გზების და ხიდების საკითხი. ხალხი კატეგორიულად მოითხოვს მდ. ციგზე ხიდის აგებას და გზების შეკეთებას, რაც გაუადვილებს გლეხებს სამაზრო ცენტრთან დამოკიდებულებას, მაგრამ ამ მხრივაც არაფერია გაკეთებული და არც არის მზადება შემავალი მუშაობისათვის.

ამხ. ჭანტურიამ დაათვალიერა აგრეთვე სენაკის მაზრის სხვა თემებიც. არის სოფლები (მაგალითად, ტურზუს თემში), სადაც სამაზრო აღმასკომის წევრებს ერთხელაც არ შეუხედნიათ. გასაბჭოების შემდეგ ტურძეს თემი მხოლოდ ერთხელ ყოფილა დათვალიერებული, ისიც უკანასკნელი არჩევნების დროს.

ზოგიერთ თემში არ არის გზები, სკოლები, რაც არის, ისინიც შეკეთებას მოითხოვენ; გლეხები იდგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს სთხოვენ არხების გაყვანას, ცხენის წყალის ამოწმენდას და სხვას, მაგრამ მათი მოთხოვნილებანი ჯერ-ჯერობით ორ ერს დაკმაყოფილებულ.

სალხინოს თემში არის ყოფილ პრინც მიურატის სასახლე, რომელიც თითქმის უყურადღებოდაა მიტოვებული. ამ სასახლიდან საჯარო ვაჭრობით გაყიდული იქნა 2.700 მან. ქონება და ამ თანხის ანგარიში დღეისაც არ არის წარდგენილი სალხინოს საბჭოში.

რევოლიუციონური კანონიერების მხრივ მაზრა ცუდ მდგომარეობაშია; არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ბოროტმოქმედებას სჩადიან.

აბაშის თემში ადგილი ჰქონდა სხვისი სახლის მითვისებას, რაშიაც ბრალი ედება აღმასკომის ყოფილ წევრს შამა ჯაჭარავას. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ერმილე ჯაჭარავას ფული გაუფლანგავს, რისთვისაც იგი დაუთხოვიათ სამსახურიდან; მაგრამ შემდეგ იგი მოწყობილია „ეკონ“-ს სახაზაზხო განყოფილებაში, გაუტეხია სახაზაზხო განყოფილება და საქონელი წაუღია სახლში, სადაც ის აღმოჩენილი იქნა ჩხრეკის დროს. ეს პირი პასუხისგებაში შიუკიათ, მაგრამ საკმე ჯერ არ არის გარჩეული, ის კი ამ დროის განმავლობაში სხვა თანამდებობაზე მოწყობილა.

ყველაფერი ეს სამართლიან უმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

შ. მ. ო.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის თბილისის კომიტეტის 18 ივნისის სხდომაზე

ჰრეზიდიუმის არჩევა

შ. მ. ო.-ს ლიგის თბილისის კომიტეტის 18 ივნისის სხდომაზე არჩეულ იქნა ჰრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. კაკაბაძე, მისი თანაშემწე და საორგანიზაციო-საპროპაგანდო სექციის გამგე—ამხ. ტატულოვი. წარმოების რაციონალიზაციის სექციის გამგე—ინჟ. კრანცი. ადმინისტრატიულ-ტეხნიკის სექციის გამგე—ამხ. გვიჩია. სამეცნიერო პედაგოგიური სექციის გამგე—ექიმი სკოროდუმოვი. პ | მგებელი მდივანი—ამხ. მელიქ-ოსიფოვი.

ლიგის საზაფხულო პერიოდის ამოცანებს შეადგენს მომზადება და გამომუშავება მუშაობის მეთოდებისა „შრომ“-ს ძირითად ორგანიზაციებში—წარმოებებში, დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

კინო-სურათის გადადება

მთავრდება გადაღება შ. მ. ო.-ს კინო-ფილმისა საადგიტაციო მიზნებისათვის.

ყოველდღიური მოკრიბეობა

დაწესებულია ყოველდღიური მორიგეობა ჰრეზიდიუმის წევრთა „შ. მ. ო.“-ში ა | კ. მ | გ. ინსპექციის ბინაზე (გრიბოედოვის ქ. № 19 ოთახი 37 საღამოს 6—7 საათამდე) შ. მ. ო.-ს საკითხებისა და მუშაობის შესახებ ცნობების მისაცემად.

საბჭოთა სასამართლო

სტუდენტ ერგემლიძის საქმე

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ლეკვეიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყება სტუდენტ ერგემლიძის საქმის გარჩევა. რადგან საქმე ძალიან დიდ ინტერესს წარმოადგენს საზოგადოებისათვის და მოსალოდნელია დიდძალი ხალხის დასწრება სასამართლოს სხდომებზე, კერძო პირების დაშვება სასამართლოს სხდომის დარბაზში მოხდება სპეციალური ბილეთებით. საქმის შინაარსი ასეთია:

1925 წლის 2 იანვარს, ღამის 10 საათზე ერგემლიძე თავის ამხანაგებთან ერთად შეჯარხოშებული გამოვიდა ვარდისუბნის ქუჩაზე. რამოდენიმე მანძილის გავლის შემდეგ მათ გზაში შემოხვდა ქართულ ცხენოსან ჯარის უფროსის თანაშემწე ნ. ლოლუა თავისი ცოლით. ერგემლიძეს ხელი გაკრა ლოლუას ცოლს. ამ ნიადაგზე ნ. ლოლუასა და ერგემლიძეს შორის მოხდა ჩხუბი. ლოლუამ ამოიღო რევოლვერი, რომელიც ხელიდან გამოსტაცა ერგემლიძემ. ამ დროს მათ შორის მოზაფდა ჩავარდა ერგემლიძის ამხანაგი ბოლოშვილი. ეს ერგემლიძის ამხანაგი ბოლოშვილი ნ. ლოლუას ოფიცერ-დაგვადოვ-ან (გრიგიის კონცერტი მე-2-3 ნაწილი), შიშკინმა (რახმანინოვის 1-ლი კონცერტი) და გერასიმენკომ (ბალაკირევის კონცერტი).

პროფესორ ვინოგრადოვის კლასი დამთავრეს: კალანტარიამ (ბეთხოვენის მე-5 კონცერტი), ნაკიბოვამ (შუმანის კონცერტი) ხალატოვამ (ბრიგის კონცერტი), ბაგრატიონ-დავალოვამ (გრიგის კონცერტი მე-2-3 ნაწილი), შიშკინმა (რახმანინოვის 1-ლი კონცერტი) და გერასიმენკომ (ბალაკირევის კონცერტი).

პროფესორ ანნა თოლოშვილის კლასი დამთავრა როგორენვამ (ცეზარ ფრანკის დიდი ვარიაციები).

ჩამოთვლილ სტუდენტებიდან თავისუფალი მხატვარის ... მიიღო ყველამ, გარდა შიშკინისა, რომელსაც მიეცა მოწმობა მუსიკალური ტეხნიკუმის დამთავრების შესახებ.

ყველაზე უფრო ინდივიდუალური ნიჭი გამოიჩინეს იეზბაშევამ, ქავთარაძემ, ბარნოვამ, როზენფელდმა, გერასიმენკომ, ხალატოვამ და როგორენვამ.

ჯ. ბ.

—

— **წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება** (ყოფილი წ. კ. გ. ს.) მართავს თავის საშუალებათა გასაძლიერებლად დიდ სახალხო სეირნობას ლატარია-ალეგრით და სხვა ვასაკთბებენ. სეირნობა გაიმართება ინვალიდთა კლუბის (ყოფ. ახალი კლუბის) ბაღში ივლისის პირველ რიცხვებში.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბალი.** თეატრში—კოლეტრივის „კრასნეე ვსხოდი“-ს ლიტერატურულ-სამხატვრო სალამო. ბალი—ეინო: „ბრავადის უფროსი ივანოვი“.

— **დანიელ ჯანაშვილის** (დანიელა ურია) ხალხური სიღერების კონცერტი გაიმართება დღეს ახალ კლუბში.

— **ქართული ოპერები უკრაინაში.** კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა მიიღო უკრაინის განათლების სახალხო კომისარიატიდან წინადადება, რომ გაუგზავნოთ უკრაინის კომისარიატს კლავირები ქართული და თუ მოიპოვება სიმღერები ოპერებისა, ვინაიდან უკრაინის სახალხო განათლების კომისარიატს განზრახული აქვს ხსენებული ოპერების დადგმა უკრაინულ ენაზე.

— **ვახტანგოვის სტუდიის ჩამოსვლა.** სახელმწიფო ოპერის თეატრში 1 ივლისს დაიწყება ვახტანგოვის სახელობის სტუდიის გასტროლიები.

წითელი თეატრის მოგზაურობა კახეთში.

19 ივნისს, პროლეტკულტის წითელი თეატრის დასი ბაკმეზავრა კახეთში წარმოდგენების გასამართავად. წარმოდგენები გაიმართება: სიღნაღში, ანაგაში, გურჯაანში, ველისციხეში, წინანდალში, თელავში, ყვარელში და სხვა სოფლებში. დაიდგება შემდეგი პიესები: „ცეხრის წყარო“ და „ჯანი ბურიაში“. დასმა თან წაიღო საკუთარი ტუტაფორია, დეკორაციები და კასტიუმები.

ფემთხვევები

— **ცეცხლი.** 20 ივნისს ვერის დაღმართი № 22 მოქ. ნემსაძის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრო ცეცხლსმქრობელი რაზმმა.

— **შვილის სიკვდილის გამო** მოქ. ელისაბედ ჩაჩავამ 21 ივნისს რევოლვერით დაიჭრა თავი.

— **დაჭრა.** 21 ივნისს პლეზანოვის ქ. № 26 მოქ. ლიმმანმა დაიჭრა თავი. მიზეზი გამოუკვლეველია.

— **საწყობის გაქურდვა.** 20 ივნისს ფანჯარის ბატეხვის საშუალებით გაქურდეს სპორტსკოლის საწყობი.

— **ქურდობა.** 21 ივნისს დილის 6 საათზე ელისაბედის ქ. № 24 გაქურდეს მოქ. ეკატერინეს ბინა.

ხელოვნება

გამოცდები სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასში.

კონსერვატორიაა ახალი წესდების თანახმათ, კურსდამთავრებულები განიყოფებიან ორ ნაწილათ: ეროთი ნაწილი, რომელიც ითავებს ტეხნიკუმს, რაშიაც იღებს სათანადო მოწმობას, და მეორე ნა

მუშათა ცხოვრება

ᲠᲝᲓᲒᲝᲠ ᲘᲮᲓᲘᲐᲜ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲥᲘᲠᲐᲡ

(ᲛᲐᲚ. ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲛᲔ)

ᲑᲘᲜᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲨᲘ, ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ ᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲐᲪᲔᲡᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ: ᲑᲘᲜᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠ-8 ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘᲗ ᲜᲐᲗᲕᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ: ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲒ. ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ, ᲕᲔᲥᲘᲚᲔᲑᲘ, ᲜᲘᲜᲘᲜᲠᲘᲜᲘ, ᲛᲘᲡᲰᲘᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲡ ᲑᲘᲠᲯᲕᲯᲔᲠ ᲛᲝᲰᲯᲣᲐ ᲤᲣᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲗᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ